აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

პროექტი „ასოცირების შეთანხმებით აღებული ჩარჩო დირექტივების (WFD, MSFD, ბიომრავალფეროვნება), ენერგეტიკული რესურსების გამოყენებისა და კლიმატის ცვლილების შერბილების ვალდებულებათა შესრულების მონიტორინგი დასავლეთ საქართველოს მუნიციპალიტეტებში (ბათუმი, ქობულეთი, ფოთი, ზუგდიდი) COVID-19 პანდემიის პირობებში.

“ბიომრავალფეროვნება (ჰაბიტატები და სახეობები), გარემოს დაცვა, კლიმატის ცვლილების შემარბილებელი ღონისძიებები ბათუმის, ქობულეთისა და ფოთის მუნიციპალიტეტების მერიებში”

ველური ბუნების დაცვის საზოგადოება „ჭაობი“
ავტორი იზოლდა მაჭუტაძე

რეზიუმე (ქართულად)
პროექტის განხორციელების ფარგლებში მოხდა ბათუმის, ფოთის და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიებში ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების მიხედვით გათვალისწინებულ ქმედებების შესახებ ინფორმაციისა და დოკუმენტების მოძიება, მომზადდა სპეციალური კითხვარები.
მიუხედავად ასოცირების ხელშეკრულების არსებობისა, მუნიციპალიტეტების მერიებს არ გააჩნიათ არავითარი სამოქმედო გეგმა ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის საკითხებში და შესაბამისად არც ვალდებულებები არსებობს.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, ცალკეული მუნიციპალიტეტებისათვის არსებული სიტუაციის საფუძველზე რეკომენდაციები მომზადდა. გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს: აქ არსებული მსოფლიო უნიკალური ჰაბიტატების მიერ ჩამოყალიბებული ეკოსისტემური სერვისების გაცნობიერება, რომელიც მნიშვნელოვანია ეკოლოგიური გარემოს და ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობისათვის. აუცილებელია ფოთის სივრცითი მოწყობის გეგმის და პალიასტომის ტბის გაჯანსაღების გრძელვადიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება, საქართველოს და აჭარის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სამინისტროებში „ღია მეცნიერება“ (მეცნიერება ყველასათვის) ექსპერტთა ჯგუფის შექმნა, დეგრადირებული ჰაბიტატების აღდგენის პროექტების განხორციელება.
დღეს, გლობალური პანდემიის ფონზე კოლხეთში თვალნათლივ შეინიშნება კლიმატის ცვლილება, უმუშევრობა და გარდაუვალია მოსალოდნელი ეკონომიური სიდუხჭირე; დიდი ზიანი მიადგა ეკოტურიზმს. ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და გონივრული გამოყენებისათვის აუცილებელია ეკოლოგიურად და

ეკონომიკურად მომგებიანი სოციალური პროექტების განხორციელება და ეკოტურიზმის სტრატეგიის შემუშავება&მარკეტინგი.

Summary

"Monitoring of the Implementation of Obligations of Framework Directives (WFD, MSFD, Biodiversity), **Use of Energy Resources and Climate Change Mitigation taken under the Association Agreement in the Municipalities of Western Georgia** (Batumi, Kobuleti, Poti and Zugdidi) **in COVID-19 Condition**

"Biodiversity (Habitat and species) , Nature Nonsesvation, Climate change mitigation in the concils of Batumi, Kobuleti and Poti Municipalities "

Society for conservation of wild nature Tchaobi

Izolda Matchutadze

Within the framework of the project, actions were taken in accordance with the EU Association Agreement of Batumi, Kobuleti and Poti Municipalities in order to find information's and documents concerning with this agreement. Was a prepared special questionary regarding with this item. Despite the existence of an Association Agreement municipal councils do not have any action on Biodiversity conservation and wise use and no are any obligations.

Besides on the current situation recommendations were prepared for each municipality based on the results of the survey. An urgent task in to Understand the ecosystem services created by the world's unique habitat biodiversity in the subject area, which are very important to the environment surrounding and well-being of the local citizens. It is necessary to develop a spatial developing plan of Poti, to develop long term Action plan of Paliastomi lake, to create an "Open Science" (Science for All) expert group in the Ministries of Education, Science and Culture of Georgia, to implement degraded habitats restoration projects.

Today against the back down of a global pandemic, climate change, unemployment and inevitable economic misery are evident in Kolkheti. Great damage has been done to ecotourism. For the conservation and wise use of habitat and species biodiversity, for the Kolkheti climate change mitigation, It is necessary to implement ecologically and economically profitable social projects and to develop a ecotourism strategy.

შესავალი

ბათუმის, ქობულეთის და ფოთის მუნიციპალიტეტები კოლხეთის დაბლობზე მდებარეობენ. კოლხეთის კი, როგორც კავკასიის ნაწილი, მსოფლიოს ბიომრავალფეროვნების 36 ცხელ წერტილსშორისაა. კოლხეთის რეფუგიუმი თავშესაფარია ფლორისა და ფაუნის მრავალი კაინოზოური რელიქტური სახეობისათვის, რომლებიც ფართოდ იყო გავრცელებული ევროპაში მრავალი მილიონი წლის წინ და გამყინვარების ეპოქაში გაქრა.

კოლხეთის დაბლობის სამ მუნიციპალიტეტს მოიცავს კოლხეთის დაცული ტერიტორიები: კოლხეთის ეროვნული პარკი და კაცობურის აღკვეთილი (ფოთი და

ზუგდიდი) და ქობულეთის ნაკრძალი და ქობულეთის აღკვეთილი (ქობულეთი). კოლხეთის დაცული ტერიტორიების ჰაბიტატების ეკოსისტემურ სერვისებია: **მომმარაგებელი სერვისები.** საკვები რესურსები (მცენარე, ხილი, კენკრა, თევზი, ფრინველი და სხვ.) ადამიანისა და ცხოველებისათვის. ადგილობრივი მოსახლეობის სასმელი წყლით და ხე-ტყით (როგორც სათბობი და სამშენებლო მასალა) მომარაგება. სამკურნალო დანიშნულების მქონე გენეტიკური რესურსები და მედიცინაში გამოყენება. **მარეგულირებელი სერვისები**. კლიმატისა და ჰიდროლოგიური რეჟიმის რეგულაცია, ბუნებრივი საფრთხეების (დატბორვა) თავიდან აცილება, წყლის გამწმენდი ფუნქცია. მათ უდიდესი როლი უჭირავთ, როგორც კოლხეთის კლიმატის ცვლილების შემარბილებელ ეკოსისტემებს. ტორფნარებში დაგროვილი წყლის დიდი რაოდენობა კოლხეთის კლიმატს აბალანსირებს. თბილ და მშრალ ამინდებში წყლის მუდმივი აორთქლების გამო ერთგვარ გამაგრილებელ მოწყობილობებს წარმოადგენენ. **ჰაბიტატის სერვისები.** დაცული და შენარჩუნებულია ფლორისა და ფაუნის რელიქტური (კაინოზიური) და ენდემური სახეობები, რამსარის კონვენციით დაცული ჭარბტენიანი ჰაბიტატები.

ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში მდ. ჭოროხის დელტის მარცხენა შესართავში არსებულ ბუნებრივ მტკნარწყლიან ტორებს იცავს: ბერნის კონვენცია (**ბერნის „ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციასთან“ შეერთების შესახებ“** www.bern **convention.ზურმუხტის ქსელი (Emerald Network).** ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირი (IUCN Red List) ბუნებრივი მტკნარწყლიანი ტბორები, როგორც ჰაბიტატი, რომელიც გადამწყვეტია ფაუნის მრავალი სახეობისათვის, სადაც ისინი სასიცოცხლო ციკლის მნიშვნელოვან ნაწილს გადიან. **კულტურული სერვისები,** როგორიცაა: საგანმანათლებლო, სამეცნიერო, არქეოლოგიური, რეკრეაციული, ეკოტურისტული და სხვა ესთეტიკური ღირებულებები, დასვენება.

პროექტის **მიზანი.** კოლხეთის დაბლობის ოთხივე მუნიციპალიტეტის მერიაში ევროპის ასოცირების ხელშეკრულების შესრულების ანალიზი და მონიტორინგი.

პროექტის ამოცანები:

- კითხვარის მომზადება ცალკეული მუნიციპალიტეტებისათვის;
- მუნიციპალიტეტის მერიაში ინფორმაციისა და იმ დოკუმენტების მოძიება, რომელიც ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების მიხედვით გათვალისწინებულ ქმედებებს ეხება;
- არსებული სიტუაციის, მიღებული შედეგების ანალიზი;
- რეკომენდაციები.

1. სიტუაციურო ანალიზი

ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და გონივრული გამოყენების მიზნით ინფორმაციის მოძიების მიზნით მომზადდა სპეციალური კითხვარი. კითხვარი დაეგზავნა ქობულეთის მუნიციპალიტეტის, ბათუმის და ფოთის მერიის ადმინისტრაციებში ევროპის ასოცირების ხელშეკრულების პასუხისმგებელ პირებს. შევსებული კითხვარი მოწოდებული იქნა მხოლოდ ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ.

1.1. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

2003 წელს აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ მომზადდა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სივრცითი მოწყობის სქემა“. ეს მნიშვნელოვანია დოკუმენტია, რომელიც ავსებს ევროპის ასოცირების ხელშეკრულებას.

მუნიციპალიტეტის მერიისათვის კარგადაა ცნობილი მდ. ჭოროხის მარჯვენა სანაპიროზე არსებული ბუნებრივი მტკნარწყლიანი ტბორების ღირებულება და მისი კონსერვაციის აუცილებლობა.

1.2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია

2003 წელს აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ მომზადდა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სივრცითი მოწყობის სქემა“. გარდა ამ დოკუმენტისა შემუშავდა „ქობულეთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის სქემა“.
მუნიციპალიტეტის მერიისათვის კარგადაა ცნობილი აქ არსებული ჰაბიტატების კონსერვაციის აუცილებლობისა და გონივრული გამოყენების (მეცნიერება, განათლება, ეკოტურიზმი) შესახებ. აქვეა ქობულეთის დაცული ტერიტორიები, ქობულეთის ნაკრძალი და ქობულეთის აღკვეთილი, რომლის მენეჯმენტის გეგმა განახლდა 2019 წელს. სამივე დოკუმენტის მომზადებისას ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობას ღებულობდნენ.

1.3. ფოთის მუნიციპალიტეტის მერია

მუნიციპალიტეტს არ გააჩნია სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტი. მერიის თანამშრომლები მონაწილეობდენ „კოლხეთის ეროვნული პარკის“ მენეჯმენტის გეგმის შემუშავების პროცესში.
უნდა აღინიშნოს, რომ ქობულეთსა და ფოთში განთავსებული უნიკალური ჰაბიტატები - სფაგნუმიანი ტორფნარები და რელიქტური ტყეები - წარდგენილია UNESCO - ში მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის უბნის ნომინაციაზე.

კვლევის შედეგები, დასკვნები და რეკომენდაციები

მუნიციპალიტეტების მერიის ადმინისტრაციებში კომუნიკაციებისას კვლევის **შედეგებმა** აჩვენა, რომ

- მუნიციპალიტეტების მერიის ადმინისტრაციებს, მიუხედავად ასოცირების ხელშეკრულების არსებობისა, არ გააჩნიათ არავითარი სამოქმედო გეგმა ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის საკითხებში. შესაბამისად არც ვალდებულებები არსებობს;
- მუნიციპალიტეტების მერიის ადმინიტრაციებში სპონტანურად ხდება ჩართულობა აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა მაგ. კოლხეთის ეროვნული პარკისა და კაცობურის აღკვეთილის და ქობულეთის დაცული ტერიტორიების ქობულეთის აღკვეთილისა და ქობულეთის ნაკრძალის მენეჯმენტის გეგმის შემუშავების, UNESCO-ს მსოფლიო ბუნებრივ

მემკვიდრეობის უბნის ნომინაციის სამეცნიერო დოსიეს „კოლხეთის ტყეები და ჭარბტენიანი ეკოსისტემები“ შეხვედრებში მონაწილეობა;

დასკვნის სახით შედეგებიდან გამომდინარე აუცილებელია:

- ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის და გონივრული გამოყენების, კლიმატის ცვლილების შემარბილებელი ღონისძიებების ქმედებებისათვის მათ სჭირდებათ შესაბამისი გეგმა, ტრენინგები;
- მუნიციპალიტეტებში არსებობს სხვა ეროვნული სამოქმედო გეგმები, სტრატეგიები, ხელშეკრულებები (იხ. ცხრ.), რომელსაც ითვალისწინებს ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებაც. გამომდინარე აქედან, მუნიციპალიტეტების მერიებს გარკვეულწილად ავალდებულებს კიდევაც მათ ამ ვალდებულებების შესრულებას;
- ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი ითვალისწინებს ტურიზმს. გამომდინარე იქედან, რომ კოლხეთის ჰაბიტატებისა და სახეობათა მრავალფეროვნება მსოფლიოში უნიკალურობით გამოირჩევა, შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნით და მარკეტინგით ეკოტურიზმის მაღალი პოტენციალი გააჩნია. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის მიერ მომზადდა აჭარის ტურიზმის სტრატეგია. ეს სტრატეგია მოიცავს ბათუმისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებს. ამ მხრივ პრობლემაა ფოთისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში, სადაც მსგავსი დოკუმენტი არ არსებობს.

ცხრ. 1

ეროვნული და რეგიონული სტრატეგიები, გეგმები და სხვა ხელშეკრულებები, რომელთა შესრულებაც თანხვედრია ევროპის ასოცირების ხელშეკრულებისა და ავალდებუებს მუნიციპალიტეტების მერიებს შესრულებაზე

		მერია							
		ბათუმი		ქობულეთი		ზუგდიდი		ფოთი	
		წარმოშობა							
		ეროვნული	მუნიციპალური	ეროვნული	მუნიციპალური	ეროვნული	მუნიციპალური	ეროვნული	მუნიციპალური
1	ვალდებულება	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი	კი
2	სტრატეგიები/ გეგმები/ხელშეკრულებები								
2.1.	**სტრატეგიები**								
2.1.1.	ტურიზმის		აჭარის ტურიზმის სტრატეგია		აჭარის ტურიზმის სტრატეგია		არა		
2.1.2	ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის	საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა				საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა	არა	საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა	არა
2.2.	**სამოქმედო გეგმა**								
2.2.1	სივრცითი დაგეგმარების	აჭარის სივრცითი დაგეგმარების გეგმა		აჭარის სივრცითი დაგეგმარების გეგმა	ქობულეთის სივრცითი დაგეგმარების გეგმა				
2.2.3	დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმა	საქართველოს დაცული ტერიტორიები		საქართველოს დაცული ტერიტორიები	ქობულეთის ნაკრძალისა და ქობულეთის აღკვეთილის მენეჯმენტის გეგმა	საქართველოს დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმა	კოლხეთის ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმა	საქართველოს დაცული ტერიტორიები	კოლხეთის ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმა

2.2.4	გარემოსდაცვითი კონვენციები	რამსარის კონვენცია		რამსარის კონვენცია/ ბერნის კონვენცია					
2.2.5	ევროკავშირის ჰაბიტატების დირექტივები	ზურმუხტის ქსელი	ზურმუხტის ქსელი ჭოროხის დელტა დამტკიცებული და რამსარის პოტენციური საკომპენსაციო უბანი	ზურმუხტის ქსელი (გეგმარებითი)	ზურმუხტის ქსელი,	ზურმუხტის ქსელი (გეგმარებითი)	ზურმუხტის ქსელი,	ზურმუხტის ქსელი (გეგმარებითი)	ზურმუხტის ქსელი,
2.2.6	ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირი IUCN	მტკნარწყლიანი ტბორები და ფლორისა და ფაუნის სახეობები		მტკნარწყლიანი ტბორები და ფლორისა და ფაუნის სახეობები		მტკნარწყლიანი ტბორები და ფლორისა და ფაუნის სახეობები		მტკნარწყლიანი ტბორები და ფლორისა და ფაუნის სახეობები	
2.2.7	განათლების, მეცნიერებისა და კულტურის მსოფლიო ორგანიზაცია			"კოლხეთის ტყეები და ჭარბტენიანები" სამეცნიერო დოსიე UNESCO ში მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის ნომინაციაზე					

პროექტის ფარგლებში ბიომრვალფეროვნების კონსერვაციის მიზნით ბათუმის, ქობულეთის დაა ფოთის მუნიციპალიტეტების მერიებში კვლევების შედეგებიდან გამომდინარე არსებული სიტუაციის ანალიზის საფუძველზე მომზადდა **რეკომენდაციები.** მოცემული რეკომენდაციები გათვალისწინებულ უნდა იქნას მუნიციპალიტეტებში ევროკავშირის მერების ასოცირების შეთანხმების შესასრულებელ სამოქმედო გეგმებში.

- აუცილებელია ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების, მასმედიის ჩართულობით ეკოსაგანამანათლებლო ღონისძიებები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებში იმ ეკოსისტემური სერვისების გაცნობიერების შესახებ, რომელსაც აქ არსებული ჰაბიტატები (სფაგნუმიანი ტორფნარები, ტბები, ბუნებრივი მტკნარწყლიანი ტბორები, რელიქტური კოლხური ტყეები) ქმნიან და აყალიბებენ. როგორებიცაა: მომმარაგებელი (წყალი, საკვები, სამკურნალო რესურსები), მარეგულირებელი (რეგიონული და ლოკალური კლიმატის, წყლისა და ჰიდროლოგიური რეჟიმის რეგულაცია), ჰაბიტატის (რამსარის კონვენციით, ბერნის კონვენციით, ზურმუხტის ქსელით, ევროკავშირის ბუნების საინფორნაციო სისტემით, UNESCO (გეგმარებითი)) და კულტურული (სამეცნიერო, ეკოტურიზმი) სერვისები;
- აჭარის და ქობულეთის სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტებში, (დღეისათვის დოკუმენტებში ცვლილებების შეტანა ხდება) აუცილებელია ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებების ვალდებულებების გათვალისწინება და მათი კიდევ უფრო გამყარება;
- სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტში, აუცილებელია განისაზღვროს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და გონივრული გამოყენების, კლიმატის ცვლილების შემარბილებელი და ეკოლოგიური გარემოს გაჯანსაღების ღონისძიებების პრიორიტეტები, შემუშავდეს მოკლე და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმები ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის, კლიმატის ცვლილების შემარბილებელი და ეკოლოგიური გარემოს გაჯანსაღების მხრივ ცალკეული მუნიციპალიტეტებისათვის ცალ-ცალკე;
- გადაუდებელი ამოცანაა ფოთის სივრცითი მოწყობის სქემის შემუშავება. განსაკუთრებით დღეს აქ მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების გამო. თანაც იქვეა აქაური მოსახლეობისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პალიასტომის ტბა, რომელშიც შეცვლილი კლიმატიდან გამომდინარე უარყოფითი ცვლილებები მიმდინარეობს. მას და მიმდებარე იმნათის ტორფნარს იქ არსებული ტყეებით განსაკუთრებული ჰიდროლოგიური რეჟიმი გააჩნია. პალიასტომის ტბის, როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ეკოსისტემისათვის აუცილებელია გაჯანსაღების გრძელვადიანი გეგმის შემუშავება და ამ პროცესში უცხოელი ექსპერტების ჩართულობა;
- ეკოტურიზმის სტრატეგიის შემუშავება&მარკეტინგი;
- საქართველოს და აჭარის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სამინისტროებში „ღია მეცნიერება“ (მეცნიერება ყველასათვის) ექსპერტთა ჯგუფის შექმნა, სადაც განთავსდება მონაცემთა ბაზები იმ სამეცნიერო კვლევის შედეგებზე, რომელიც ეკოლოგიურ და ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს რეგიონს;

- აუცილებელია, მდ. ჭოროხის მარჯვენა სანაპიროზე ველური სახით შემორჩენილი ბუნებრივი მტკნარწყლიანი ტბორების კონსერვაცია და ეკოსისტემური სერვისების გაცნობიერება. ეს ჰაბიტატები 2005 წლიდან რამსარის კონვენციისათვის ყულევის ტერმინალის საკომპენსაციო ტერიტორიები. ჰაბიტატებს იცავს: ზურმუხტის ქსელი (Emerald network) 2019 წლიდან, ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირი (IUCN) 2015 წლიდან;
- 2002 წლიდან მოყოლებული სამეცნიერო კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ბათუმის, ქობულეთის, ფოთის და ზუგდიდი მუნიციპალიტეტებში, ხელსაყრელი გარემო პირობებია ეკოლოგიურად და ეკონომიკურად მომგებიანი სოციალური პროექტების განხორციელებისათვის. როგორიცაა დატბორვასთან, ჭარბწყლიან გარემოსთან შეგუებული სოფლის მეურნეობის დარგების განვითარება ე.წ. პალუდიკულტურის და ამ პროექტებში მეცნიერების და ადგილობრივი მთავრობის ჩართულობა;
- აუცილებელია დეგრადირებული ჰაბიტატების, როგორიცაა რელიქტური ტყეები და სფაგნუმიანი ტორფნარები, აღდგენის პროექტების განხორციელება. მათი აღდგენა მნიშვნელოვანია არა მარტო ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის, არამედ კოლხეთის ლოკალური და რეგიონული კლიმატის რეგულაციის მხრივ. დეგრადირებული ტორფნარების აღდგენის პროექტებს მხარს უჭერს ისეთი გარემოსდაცვითი ორგანიზაციები, როგორიცაა: კლიმატის ცვილილების ჩარჩო კონვენცია (UNCCF) 2005 წლიდან, რამსარის კონვენცია (Ramsar convention) 2018 წლიდან და სურსათის უსაფრთხოების მსოფლიო ორგანიზაცია (FAO) 2018 წლიდან;

- **გლობალური პანდემიის ფონზე** გადაუდებელ ამოცანად რჩება:
  - ზემოთ აღნიშნული სოციალური პროექტების (რომელთა შესრულების მეცნიერული საფუძვლები უკვე არსებობს) განხორციელება დღეს განსაკუთრებით, როცა კოლხეთში თვალნათლივ შეინიშნება კლიმატის ცვლილება, უმუშევრობა და მოსალოდნელია ეკონომიური სიდუხჭირე;
  - გლობალური პანდემიის პირობებში დიდი ზიანი მიადგა ტურიზმს განსაკუთრებით კი ეკოტურიზმს. აუცილებელია განვითარდეს აქაურ კოლხურ ბუნებასთან ჰარმონიზებული და შერწყმული ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა. კიდევ უფრო მეტად უნდა განვითარდეს ეკოტურიზმის ის სახეობა, როგორიცაა ფრინველებზე დაკვირვება ე.წ. „ბირდვოტჩინგი“, აუცილებელია მარკეტინგი და შესაბამისი საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობა.

გამოყენებული ლიტერატურული წყაროები

1. ქობულეთის ნაკრძალისა და ქობულეთის აღკვეთილის მენეჯმენტის გეგმა, 2019, 219 გვ
2. კოლხეთის ეროვნული პარკისა და კაცობურის აღკვეთილის მენეჯმენტის გეგმა, 2019, 222 გვ.
3. აჭარის სივრცითი დაგეგმარების სქემა, 2012,
4. ქობულეთის სივრცითი დაგეგმარების სქემა, 2018
5. აჭარის ტურიზმის სტრატეგია
6. მ. ცინარიძე., 2019, ‘კოლხეთის დაბლობის რელიქტური ტყეები, ბიომრავალფეროვნება, კონსერვაცია, გონივრული გამოყენება“ , სადოქტორო შრომა, 155 გვ
7. საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, 2019
8. I. Matchutadze, T. Bakuradze, M. Gvilava, Bulbuli Bolkvadze and David Baratashvili, 1013., Coastal Sand Dunes and Freshwater Ponds in Kolkheti – Threats and Needs for Conservation“ , Lagoons: Habitat and Species, Human Impacts and Ecological Effects Chapter 8. „pp,195-21., ISBN: 978-1-62808-092-6
9. Matchutadze I., Bolqvadze B., Jakeli J., 2014, “Kolheti refugee-Habitat and speceis biodiversity (Georgia)., World Biodiversity Congress., SriLanka
10. Matchutadze I., Bakuradze T., Tcheishvili T., Bolqvadze B., 2015, Vegetation of Kolchis mire, Scoence PG, Science publishing group. Volume 4, Issue 5, September 2015, Pages: 73-78
11. Bolqvadze B, 2015, Emerald Network Gabitats and Species of Kolkheti Lowland, Instrumnets for modeling Blck sea River Basins: Research Proceeding for Guria Region of Georgia EU project, pp 101-103
12. Boqvadze B, Matchutadze I. Davitashvili N., 2016 Rare and endangered plant of sand dune of Kolkheti lowland. Bulletin of Acadamy of Science of Georgai (12 გვერდი) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე
13. Dmytro Iakushenko, Izolda Matchutadze, Alla Tokaryuk,Volodymyr Solomakha, Bulvuli Bolqvadze, 2016 Coastal Dune Vegetation of Georgia (The Caucasus), European vegetation surve 25 th meetng
14. Izolda Matchutadze, Tamar Bakuradze, Mamuka Gvilava, Bulbuli Bolkvadze and David Baratashvili, 1013., Lagoons: Habitat and Species, Human Impacts and Ecological Effects Chapter 8. Coastal Sand Dunes and Freshwater Ponds in Kolkheti – Threats and Needs for Conservation New York, pp,195-21., ISBN: 978-1-62808-092-6
15. K. Smith, V. Barrios, W. Darwall, C. Numa (Edotors), 2015, The Status and distribution of freshwater biodiversity in the eastern mediterranen, IUCN Red List., 129 p;
16. Council Directive 92/43/EEC of 21 May 1992 on the conservation of natural habitats and of wild fauna and flora, O.J. L206, 22.07.92.
17. CORINE Biotopes - Technical Handbook, volume 1, p. 73-109, Corine/Biotopes/89-2.2, 19 May 1988.
18. CORINE Biotopes manual, Habitats of the European Community. EUR 12587/3, Office for Official Publications of the European Communities, 1991.
19. EUR27. 2007 The Interpretation Manual of European Union Habitats. European Commission DG Environment
20. Relation between the Directive 92/43/EEC Annex I habitats and the CORINE habitat list 1991 (EUR 12587/3).

21. Georgian National Report Black Sea Biological Diversity Georgia, United National Publications, New York, 1998, p.101-106
22. www. Bern convention
23. www. EUNIS.org
24. www.Emerelad
25. www.IUCN.org
26. www.UNESCO.org
27. www.ramsar.org
28. www.natura 2000
29. www.UNCCF.com